

მზარდი პოლარიზაციის პირობებში ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში მოკრძალებული ეკონომიკური ზრდა აღინიშნა

ბუქარესტი, 22 ნოემბერი, 2016 –2016 წელს ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნებში მშპ-ს ზრდა მოკრძალებული იქნება. რეგიონის შესახებ მსოფლიო ბანკის ეკონომიკური მიმოხილვის თანახმად, დაბალი ფასები ნავთობპროდუქტებზე და სხვა საქონელზე, ინვესტიციების კლება ევროკავშირში და მიმდინარე სტრუქტურული გამოწვევები ხელს უშლის ზრდას და განაპირობებს პოპულიზმის და პოლარიზაციის მატებას.

დღეს ბუქარესტში (რუმინეთი) გამოქვეყნებულ ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2016 წელს მოსალოდნელია მოკრძალებული ზრდა 1.6 პროცენტით, რაც 2015 წლის მაჩვენებელთან (1.4%) შედარებით ოდნავ მაღალია. თუმცა, შემოსავლების და სამომხმარებლო ხარჯების კლება, სავარაუდოდ, მას კიდევ უფრო შეარბილებს. მოსალოდნელია ამ ტენდენციის შენარჩუნება 2017 და 2018 წლებშიც შესაბამისად, 1.5 და 1.8 პროცენტის ზრდის მაჩვენებლებით.

ზრდის პროგნოზი დადებითია ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში. კერძოდ, მშპ-ს ზრდა 0.7 პროცენტი იქნება 2016 წელს, 2.3 პროცენტი - 2017 წელს და 2.6 პროცენტი - 2018 წელს. ამასობაში ევროკავშირში ქვეყნებში მოსალოდნელია ზრდის ოდნავ შემცირება, მაშინ როცა დასავლეთ ბალკანეთის ზრდის პროგნოზი წარმოადგენს 2.7 პროცენტიდან (2016) 3.2 პროცენტამდე (2017) სანამ მოხდება ზრდის 3.5 პროცენტის მაჩვენებლის მიღწევა 2018 წელს.

„რეგერენდუმმა გაერთიანებულ სამეფოში და იძულებით გადასახლებულთა კრიზისმა ევროპული თანამშრომლობა გამოცდის წინაშე დააყენა. რეგიონის აღმოსავლეთი ნაწილი კი ჯერ კიდევ ცდილობს ნავთობპროდუქტების დაბალ ფასთან შეგუებას“, განაცხადა მსოფლიო ბანკის მთავარმა ეკონომისტმა, ჰანს ტიმერმა. მისივე თქმით, „მთელი რეგიონის წარუმატებელი მცდელობა გამონახოს ზრდის ახალი წყაროები, ხელს უწყობს პოპულიზმის და პოლარიზაციის ზრდას, ისევე, როგორც ნდობის კლებას საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მიმართ.“

ანგარიშში წარმოდგენილი კვლევები მიუთითებს, რომ ცვალებად ეკონომიკურ ლანდშაფტთან დაკავშირებული შემოფოთება და, კერძოდ, დასაქმების გარანტიის არარსებობა, ამწვავებს პოლიტიკურ პოლარიზაციას რეგიონის ქვეყნებში. დროებითი და ნახევარგანაკვეთური სამუშაოს სწრაფი ზრდა და უნარ-ჩვევების მიმართ მოთხოვნის ცვლილება, რომელიც განპირობებულია ახალი ციფრული ტექნოლოგიებით, ზრდის ადამიანების შემოფოთებას რეგიონში და განაპირობებს პოლიტიკური სპექტრის ცენტრიდან მხარდაჭერის სხვა მიმართულებით გადანაცვლებას .

პოლიტიკის თვალსაზრისით ძლიერი პასუხების გაცემის შეუძლებლობის პირობებში, მიმდინარე სტრუქტურული გამოწვევები, რომლებიც აფერხებს რეგიონის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას, საფრთხეს უქმნის ზრდას და სიღარიბის შემცირებას

გრძელვადიან პერიოდში. გამოწვევების საპასუხოდ მთავრობა და საზოგადოება ახალ ეკონომიკურ ეპოქაში უკვე არსებულზე ფოკუსირებულის ნაცვლად, ახალი პერსპექტივების შექმნას უნდა უზრუნველყოფდნენ.

„მოკრძალებული ზრდა სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯის მაჩვენებელია, მაგრამ არ არის საკმარისი იმისთვის, რომ შეამსუბუქოს რეგიონის მოსახლეობის შემფოთება ეკონომიკური ზრდის პერსპექტივასთან დაკავშირებით. მთავრობებს სწორედ ახლა შეუძლიათ დახმარების გაწევა. მაგალითად, მათ შეუძლიათ განგრძობითი სწავლის ხელშეწყობა ადამიანების დასახმარებლად სამუშაოს პოვნაში და არსებული ადგილების შენარჩუნებაში, ასევე ბავშვებზე და მოზრდილებზე ზრუნვის უზრუნველყოფა დასაქმების მოქნილი არჩევანის ხელშესაწყობად. აღნიშნული ღონისძიებები უზრუნველყოფს თანასწორ შესაძლებლობებს და საერთო ზრდის წახალისებას“, აღნიშნა მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა რეგიონში, სირილ მიულერმა.

პოლიტიკასთან დაკავშირებული სხვა ვარიანტები მოიცავს ფირმების მხარდაჭერას ექსპორტის ახალი შესაძლებლობების გამოყენებაში მწარმოებლებისთვის შედარებით უფრო მეტად კონკურენტული გარემოს შეთავაზებით, ახალი კომპანიის დასაარსებლად და ახალ ბაზრებზე შესვლისთვის საჭირო ხარჯების და დროის შემცირებაში. ასევე, ახალი საქმიანობისკენ შრომითი რესურსების გადანაცვლებასთან დაკავშირებით ლიმიტების შემცირებაში.

ეს ღონისძიებები, ასევე, უნდა უზრუნველყოფდეს შრომისა და სოციალურ დაცვას სოციალური ერთიანობის ჩამოშლისგან დაცვის მიზნით. განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფებისთვის.

ანგარიში ასევე მოუწოდებს უთანასწორობის შესახებ კვლევის და მონაცემების გაუმჯობესებას. მათ შორის, იმ ინფორმაციისა, თუ როგორია ადამიანების აღქმა უთანასწორობის ცვლილებასთან დაკავშირებით. შემდგომი მტკიცებულება უნარ-ჩვევებზე მოთხოვნასა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის კავშირის შესახებ ხელს შეუწყობს პოლიტიკის ცვლილებას მნიშვნელოვანი ეკონომიკური გარდაქმნების შესწორებისათვის, ისევე როგორც სოციალური და პოლიტიკური მდელვარების შემცირებას.

პრესრელიზი:

2017/ECA/041

საკონტაქტო პირი:

[ვაშინგტონი. ელენა კარაბანი, +1 \(202\) 473-9277, \[ekaraban@worldbank.org\]\(mailto:ekaraban@worldbank.org\)](mailto:ekaraban@worldbank.org)

დამატებითი ინფორმაციის შესახებ მსოფლიო ბანკის საქმიანობის შესახებ ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში იხილეთ: <http://www.worldbank.org/eca>

მოიწონეთ ჩვენი გვერდი Facebook-ზე: <http://www.facebook.com/WorldBankEuropeCentralAsia>

შემოგვიერთდით Twitter-ზე: <http://twitter.com/WorldBankECA>

შემოუერთდით დისკუსიას: <http://blogs.worldbank.org/europeandcentralasia>